აკადემიური პერსონალის მობილობა პოლონეთის ჩესტოხოვას იან დლუგოშის უნივერსიტეტში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ბორის გითოლენდია, ERASMUS+ KA107 პროგრამის საერთაშორისო აკადემიური მობილობის ფარგლებში, 2025 წლის 12-16 მაისს პოლონეთში, ქ. ჩესტოხოვის იან დლუგოშის უნივერსიტეტს (Ian Dlugosz University in Czestochowa) სტუმრობდა.

სწავლების მიზნით მობილობა განხორციელდა, ქ. ჩესტოხოვის იან დლუგოშის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე. მობილობის ფარგლებში აქტივობები აკადემიურ დატვირთვებთან ერთად, ასევე ითვალისწინებდა სამუშაო გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას შეხვედრების, დისკუსიების და პრეზენტაციების გზით. ასევე სასწავლო რესურსების გაცნობით ტურებსა და კულტურულ აქტივობებს, როგორც უშუალოდ ფაკულტეტზე ასევე უნივერსიტეტის ცენტრალურ ადმინისტრაციაში.

მობილობის ფარგლებში საქმიანი შეხვედრები შედგა ადგილობრივი საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის, საფაკულტეტო და უნივერსიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან. ასევე უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალთან. სხვა და სხვა სამუშაო თემებთან დაკავშირებით, ინტერესთა დაახლოების მიზნით გაიმართა არაერთი დისკუსია და შეხვედრა. ვიზიტის ფარგლებში საქმიანი შეხვედრა შედგა მასპინძელი უნივერსიტეტის ვიცე-რექტორთან საერთაშორისო თანამშრომლობისა და კოოპერაციების მიმართულებით პროფესორ მარკინ სოსნოვსკისთან.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა აქტივობა, რომელიც დაგეგმილი იყო მასპინძელი მხარის მიერ. გარდა საქმიანი დისკუსიებისა, შეხვედრებზე წარმოდგენილი იქნა ვრცელი პრეზენტაციები როგორც სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის, ასევე ზოგადად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესახებ.

პოლონურ უნივერსიტეტში ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ERASMUS+ ფარგლებში მობილობის გააქტიურება და ფაკულტეტის საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება. ვიზიტი განხორციელდა ERASMUS+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და რომლის კოორდინატორია ჩესტოხოვას, იან დლუგოშის უნივერსიტეტში (პოლონეთი).

Academic Staff Mobility to Jan Dlugosz University in Czestochowa, Poland

Within the framework of the ERASMUS+ KA107 International Academic Mobility Program, the Dean of the Faculty of Transport Systems and Mechanical Engineering of Georgian Technical University, Assoc. Prof. Boris Gitolendia, visited Jan Dlugosz University in Czestochowa, Poland, from May 12 to 16, 2025.

The mobility for teaching purposes was conducted at the Faculty of Science and Technology of Jan Dlugosz University. The mobility activities included not only teaching but also sharing professional experiences and best practices through meetings, discussions, and presentations. The program also featured tours and cultural activities, both at the faculty and the university's central administration, aimed at familiarizing with educational resources.

As part of the mobility, business meetings were held with representatives from the university's International Relations Office, faculty and various administrative departments. In addition, meetings and discussions were held with the administrative and academic staff of the Faculty of Science and Technology on a range of professional topics to foster mutual understanding and collaboration. A notable meeting took place with the university's Vice-Rector for International Cooperation and Partnerships, Prof. Marcin Sosnowski.

All agenda-planned activities prepared by the host university were fully implemented during the visit. Besides professional discussions, comprehensive presentations were delivered about both the Faculty of Transport Systems and Mechanical Engineering and Georgian Technical University as a whole.

The visit aimed to enhance mobility under the ERASMUS+ program and strengthen international academic cooperation and the internationalization of the faculty. The visit was carried out within the framework of the ERASMUS+ exchange project coordinated by Jan Dlugosz University in Czestochowa (Poland), in which Georgian Technical University is a participant.

Uniwersytet
Jana Długosza
w Częstochowie
www.ujd.edu.pl
Uniwersytet
Jana Długosza
w Częstochowie
COLOURS
European University Alliance
Co-funded by
the European Union